ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5559489

ნომერი: AR1843778

თარიღი : 12.08.2021

გაცემის თარიღი : 20.08.2021

გაცნობის თარიღი : 20.08.2021

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა თ. ერისთავი , N 1 , (ნაკვ. 36/077);

დამკვეთი-განმცხადებელი

- თინათინ ხუციშვილი პ/ნ 01005013319
- თბილისი დიღმის მას. IV კვ. კორ. 12 ბ. 39

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 27 თებერვლის №3842870 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2021 წლის 12 აგვისტოს №AR1843778 განცხადებით მომართა თინათინ ხუციშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2018 წლის 27

თებერვლის №3842870 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2018 წლის 27 თებერვლის №3842870 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, თ. ერისთავის ქუჩა №1-ში (ნაკვ. 36/077) არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.12.08.036.077), არსებული პურის ქარხნისთვის დამატებითი შესაფუთი საამქროს კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
სამსახურის 2019 წლის 16 დეკემბრის №4793454 ბრძანებით ცვლილება შევიდა სამსახურის 2018 წლის 27 თებერვლის №3842870 ბრძანებაში და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 16 დეკემბრის ჩათვლით.
სამსახურის 2020 წლის 8 დეკემბრის №5217533 ბრძანებით კვლავ შევიდა ცვლილება სამსახურის 2018 წლის 27 თებერვლის №3842870 ბრძანებაში და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 8 დეკემბრის ჩათვლით. ამასთან, სამსახურის 2021 წლის 2 ივლისის №5483738 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2020 წლის 8 დეკემბრის №5217533 ბრძანებაში ნომენკლატურასთან დაკავშირებით.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2018 წლის 27 თებერვლის №3842870 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას, კერძოდ განმცხადებლის განმარტებით +7.700 ნიშნულიდან +11.300 ნიშნულისკენ მიმავალი კიბე ტექნიკური შეცდომის შედეგად არასწორად იქნა დატანილი გეგმაზე და ჭრილზე, ამასთან, განმცხადებელი უთითებს, რომ +11.300 ნიშნულზე არასწორად არის დატანილი +7.700 ნიშნული.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში +7.700 ნიშნულიდან +11.300 ნიშნულისკენ მიმავალი კიბე ტექნიკური შეცდომის შედეგად არასწორად იქნა დატანილი გეგმაზე და ჭრილზე. ამასთან, +11.300 ნიშნულზე არასწორად იქნა დატანილი +7.700 ნიშნული. ასევე, +7.700 ნიშნულის გეგმაზე არ იყო დატანილი +3.600 ნიშნულიდან +7.700 ნიშნულზე მოსახვედრი კიბე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 27 თებერვლის №3842870 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 27 თებერვლის №3842870 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული +7.700, +11.300 ნიშნულების გეგმები და „1-3“ ღერძების ჭრილი ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული ამავე ნიშნულების გეგმებით და ჭრილით.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 27 თებერვლის №3842870 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 27 თებერვლის №3842870 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.